

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ  
საკითხთა, განათლების, კულტურისა და  
ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის

ოქმი № 4

ქ. ლანჩხუთი

24.06.2022 წელი

12.00 საათი

**სხდომას უძღვებოდა:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **კარლო კვიციანიშვილი**;

**კომისიის წევრები:** ნინო მშვიდლობაძე, დარეჯან ბურჭულაძე, კარლო წილოსანი, გოჩა ჯანაშია, ლოლიტა ურუშაძე.

**მოწვეული სტუმრები:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ეკატერინე გუჯაბიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **შოთა ჩაგუნავა**, ა(ა)იპ „სპორტული ცენტრის“ ხელმძღვანელი დიტო მარშანიშვილი, ა(ა)იპ „საფეხბურთო სკოლის“ ხელმძღვანელი ზაალ სანაძე, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონული განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ეკატერინე წილოსანი, სააგენტოს რაიონული განყოფილების იურისტი ნანა ჯიბლაძე, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე**, მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ხათუნა ვადაჭკორია**.

**სხდომის თავმჯდომარემ, კარლო კვიციანიშვილმა სხდომას გააცნო დღის წესრიგი:**

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე

/მომხსენებელი: კარლო კვიციანიშვილი

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის დეპარტამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: კარლო კვიციანიშვილი/

3. სხვადასხვა

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა

**კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიციანიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:**

**მომხრე 6; წინააღმდეგი არცერთი.**

1. **დღის წესრიგის პირველი საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე ისაუბრა მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა

დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურში არ შეცვლილა განყოფილების რაოდენობა, თუმცა მოხდა სახელწოდებაში ცვლილების შეტანა.

კომისიის წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:** წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2022 წლის 28 ივნისის სხდომას განსახილველად.

## **მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.**

**2. დღის წესრიგის მეორე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე ისაუბრა მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ.

მან აღნიშნა, რომ ხდება სამსახურის ფუნქციების დაზუსტება-დაკორექტირება. ასევე, ემატება ერთი განყოფილება - „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება“.

კომისიის წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:** წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2022 წლის 28 ივნისის სხდომას განსახილველად.

## **მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.**

### **3. სხვადასხვა**

კარლო კვიციანიშვილმა და გოჩა ჯანაშიამ მადლობა გადაუხადეს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, მერს და ეკატერინე გუჯაბიძეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქვიანის ადმინისტრაციულ ერთეულში დავით ართმელაძის ბიუსტის დადგმის გამო. აღნიშნეს რომ, დავით ართმელაძე დაიბადა 1865 წელს, სოფელ ქვიანში, გურული თავადის, ადამ ართმელაძის ოჯახში. ის იყო ქართველი სამხედრო მოღვაწე, საიმპერატორო არმიის პოლკოვნიკი, გენერალ-მაიორი, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, ოთხი ორდენის კავალერი და საბრძოლო დიდების ხმლის მფლობელი. რევოლუციის შემდეგ მსახურობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიაში. ის დაკრძალულია სოფელ ქვიანში.

კარლო კვიციანიშვილმა განაცხადა, რომ სოფელ ჭანჭათში აუცილებელია დაიდგას ვლადიმერ (ვალოდია) გოგუაძის ბიუსტი. ვლადიმერ (ვალოდია) გოგუაძე 1880 წელს, ოზურგეთის მაზრის სოფელ ჭანჭათში დაიბადა. ის იყო — ქართველი სამხედრო მოღვაწე, რევოლუციური მოძრაობის მონაწილე კავკასიაში. 1918-1921 წლებში საქართველოს სახალხო გვარდიის ჯავშნოსანი მატარებლების მეთაური. 1918 წლის 8 აპრილს, გოგუაძის ჯავშანმატარებლის მანევრმა უმთავრესი როლი ითამაშა ჩოლოქის ბრძოლაში მოწინააღმდეგის დამარცხებაში, რის გამოც მას რევოლუციის პირველი რაინდის წოდება მიანიჭეს. ჰქონდა „რესპუბლიკის გმირის“ წოდება. დაკრძალულია საფრანგეთში (ლევილი).

კარლო კვიციანიშვილმა განაცხადა, რომ საქართველოში განხორციელდა პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს სოციალური შემწეობის მიმღები, შრომისუნარიანი პირების დასაქმებას. მაგრამ გამოიკვეთა პრობლემები - რამდენიმე ბენეფიციარი აღმოჩნდა დარეგისტრირებული ონლაინ

თამაშებში, რომელთაც ძალიან მიზერული თანხა ჰქონდათ დარიცხული (2-3 ლარი) ანგარიშზე. ისინი პროგრამამ დაახარვევა და შესაბამისად ანაზღაურება ვერ მიიღეს. კომისიის თავმჯდომარე დაინტერესდა, შესაძლებელია თუ არა ამ ხარვეზის გამოსწორება.

ეკა წილოსანმა განაცხადა, რომ დასაქმების პროექტის განხორციელების შემდგომ შეაჩერეს ბენეფიციარებმა ონლაინ-თამაშები, მაგრამ პროგრამამ მაინც დაახარვევა. ასევე ინდემწარმეები, რომლებიც არ ეწევიან საქმიანობას, მაგრამ სტატუსი არ ჰქონდათ შეჩერებული. შემდეგი თვიდან ელოდებიან სიების ჩასწორებას.

ეკატერინე გუჯაბიძემ განაცხადა, რომ პროგრამა ახალია, შენიშვნები და პრეტენზიები ბევრია, რიგი პრობლემები არ იყო გათვალისწინებული. ამდენად ის ბენეფიციარები, რომლებიც დახარვეზდა აუცილებლად გასწორდება, უბრალოდ დროში იწელება.

კარლო წილოსანი დაინტერესდა, როდის მისცემენ დასაქმებულ ბენეფიციარებს სამუშაო ინვენტარს და საწვავს.

ეკატერინე გუჯაბიძემ განმარტა, რომ დასაქმებული არიან სოციალურად დაუცველი ფენა, რომლებთანაც კომუნიკაცია რთულია, ამიტომ მათ წინასწარ ჰქონდათ შეთანხმება, რომ ელექტრო მოწყობილობები და საწვავი არ გადაეცემოდათ.

დარეჯან ბურჭულაძემ გააჟღერა ელისო ჭიჭინაძის განცხადება, მან მადლობა გადაუხადა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას და მერს, სოფელ ჯურუყვეთის ცეკვის ანსამბლის დაფინანსებისთვის, ისინი ბათუმში, ხალხური ცეკვის ფესტივალზე გაემგზავრნენ.

ასევე განაცხადა, რომ ჯურუყვეთში ფსიქიურად ავადმყოფ ქალბატონს ესაჭიროება მედიკამენტი, რომელიც 450 ლარი ღირს.

ეკატერინე გუჯაბიძემ განაცხადა, რომ უნდა შემოიტანონ განაცხადი და შესაძლებლობების ვარგლებში აღუთქვა დახმარება.

კარლო კვიციანიშვილმა განაცხადა, რომ საკრებულოს სხდომაზე ოპოზიციის მიერ გაჟღერდა ინფორმაცია, რომ „მომავალ თაობაში ჯანმრთელი ცხოვრების წესის სწავლას და დამკვიდრებას ემსახურება ნარკოდამოკიდებული და მეტადონის პროგრამით მოსარგებლე პიროვნებები, რაც მისი მოსაზრებით, სრულიად მიუღებელი და სამარცხვინო ფაქტია“. ის დაინტერესდა აღნიშნული ფაქტი შეესაბამება თუ არა სიმართლეს.

ა(ა)იპ „სპორტული ცენტრის“ ხელმძღვანელმა დიტო მარშანიშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნული ფაქტი სიმართლეს არ შეესაბამება. ოპოზიციის წარმომადგენელს შეუძლია დაასახელოს სახელები და გვარები, წინააღმდეგ შემთხვევაში მოუხადოს ბოდიში.

დარეჯან ბურჭულაძემ განაცხადა, რომ აუცილებელია ბრალდებაზე შესაბამისი რეაგირება მოახდინონ და თუ ხარვეზია გამოსწორდეს.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მათ ჰყავთ შვილები, მომავალი თაობა და აუცილებელია იზრუნონ ჯანმრთელი გარემოს შექმნისთვის, აუცილებელია მიეცეს შესაბამისი რეაგირება აღნიშნულ ფაქტს.

კარლო წილოსანი დაინტერესდა, როგორც ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელები, როგორ შეაფასებდნენ ჩატარებულ რეორგანიზაციას და განხორციელდა თუ არა ხელფასების მატება.

დიტო მარშანიშვილმა ნორმალურად შეაფასა რეორგანიზაცია, აღნიშნა, რომ ცხრა თანამშრომელი შეამცირდა და განხორციელდა ანაზღაურების 10%-იანი მატება.

ზაალ სანაძემ განაცხადა, რომ ცხრა თანამშრომელი შეამცირდა და ხელფასების 10 %-იანი მატება განხორციელდა. მან განაცხადა, რომ მისი სურვილია მიიღოს 5-6 ახალგაზრდა მწვრთნელი, შესაბამისი განათლებით და კომპეტენციით მიიღოს, რომ დადონ ბევრად მეტი შედეგი.

კარლო წილოსანმა აღნიშნა, რომ ძალიან ვარგია სვეტიცხოველის მოწვევა, მაგრამ გასათვალისწინებელია „ტრენინგების“ დამონტაჟება.

კარლო კვიციანიშვილმა განაცხადა, რომ დუნდულს სტადიონზე, რომელსაც საგარანტიო ვადა არ გახვლია უკვე დაზიანებულია და საჭიროა მიემართოს შესაბამის კომპანიას, რომ პირობა შეასრულოს.

დიტო მარშანიშვილმა აღნიშნა, რომ „სპორტულ ცენტრს“ ვადმოვეთ ნიგოიტის სტადიონი რაგბისთვის, სადაც ელემენტარული პირობებიც კი არ არის მოწყობილი. ასევე, ლანჩხუთში არ არის სპორტული დარბაზი, სადაც შესაძლებელი იქნება ვარჯიში.

კარლო წილოსანმა აღნიშნა, რომ ახალგაზრდებში ძალიან პოპულარულია ფრენბურთი, შესაძლებელია ტურნირების მოწყობა, მაგრამ არ არის შესაბამისი მოედანი.

ნინო მშვიდლობაძემ აღნიშნა, რომ შესუთე წელია ხორციელდება შპმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების სოციალური პროგრამა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0-18 წლამდე შპმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციარები, მუნიციპალიტეტის დაფინანსებით სარეაბილიტაციო კურსს გაივლიან ურევში, ადგილობრივი ხელისუფლების დაფინანსებით ანაზღაურება თანხლები პირისა და ბენეფიციარის ყველაღილი ხარჯი განისაზღვრა 40-40 ლარის ოდენობით, ანუ უკან 80 ლარი, რამელიც ირიცხება შესაბამისი დაწესებულების ანგარიშზე. კურსი 10 დღიანია და 22 ბენეფიციარზეა გათვლილი.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ვარგია, რამდენიმე ნიშნის თქმით, არ ჩატარებულა საჭიროების ყველა: ყველა ბენეფიციარს ესაჭიროება ურევში სარეაბილიტაციო კურსის გავლა? ვარგია მათი ჯანმრთელობისთვის? სწორედ მათი ხურვილია, რომ ეს ნიშნები შეიქმნას და მათ მიეცეთ არჩევანის გაკეთების საშუალება, როგორც ეს რამდენიმე მუნიციპალიტეტშია.

მისი მისაზრესითაა გაცდილებით ეფექტური იქნება თუ ბენეფიციარზე გავლენა 800 ლარიან ვაუჩერს, რომლითაც მშობელს შეეძლება პირის დასასჯებელი და სარეაბილიტაციო ადგილი იქნება ეს მთა თუ ზღვა. მთა უმეტეს, რომ ფინანსურად არაფერი იცვლება.

დარეჯან ბურჭულაძემ განაცხადა, რომ სამედიცინო თანხა შეადგენს 15 ლარს. რაც ძალიან მიზნურულია და გადახედვას საჭიროება.

კარლო კვიციანიშვილმა განაცხადა, რომ გორგასლის ქუჩაზე მდებარე შრავალმინიანი შენობა აგაროლია, მერმა თვითონ ადგილზე მოინახულა და სასწრაფოდ საჭიროებს რეაბილიტაციას.

კარლო კვიციანიშვილმა აღნიშნა, რომ ქალაქის ცენტრი სუფთააფებია, ზეგან დაიგო ბილიეები, მაგრამ ითხვება რესონანი პირუტყვი აბინაურებს. როგორც ნიშნებია, მუნიციპალიტეტს ძილებული აქვს შესაბამისი დადგენილება და აუცილებელია მისი ამოქმედება.

დარეჯან ბურჭულაძემ განაცხადა, რომ ნინოშვილის ქუჩის ბოლოს, მატარებლის სადგურამდე საშინელი სიტუაციაა. მიტოვებული შენობები გავერანებულია, სადგურში უამრავი ნაწარვევია აუცილებელია გასუფთავდეს ტერიტორია ნაწარვევებისგან.

კარლო კვიციანიშვილმა განაცხადა, რომ დაიწყო გაუფორმებული სახლების დაგანოება, რაც მისასაღებელია და მათი მხრიდან ხელი უნდა შეუწყონ პროექტის განხორციელებას.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა  
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე



კარლო კვიციანიშვილი

**IanCxuTis municipalitetis sakrebulo**  
**socialur sakiTxTa, ganaTlebis, kulturisa da axalgazrdul saqmeTa**  
**komisia**

---

---

2800 IanCxuTi, kostavas 37 0 494 22 30 19

---

---

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა,  
განათლების, კულტურისა  
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის №4 სხდომის  
დასკვნა

ქ. ლანჩხუთი

24.06.2022 წ.

2022 წლის 24 ივნისს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა. სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

**კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:**

**დღის წესრიგის პირველი საკითხი 1.** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე

2. წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2022 წლის 28 ივნისის სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეორე საკითხი 1. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის უკანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის დეზულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

2. წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გადაიეცა საკრებულოს 2022 წლის 28 ივნისის სხდომას განსახილველად.







ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა  
და ახალგაზრდული საქმეთა კომისიის თავმჯდომარე



კარლო კვიციანიძე

დანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა,  
განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი  
24.06.2022 წელი  
12.00 საათი

სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1. თავმჯდომარე - კარლო კვიციანიძე	11:55	
2. ნინო მშვიდლობაძე	11:58	
3. დარეჯან ბურჭულაძე	12:00	
4. ლოლიტა ურუშაძე	11:55	
5. კარლო წილოსანი	11:56	
6. ირმა მგვლაძე	—	sh ესწეჲმღა
7. მკა მშვიდლობაძე	—	sh ესწეჲმღა
8. გოჩა ჯანაშია	11:55	
9. რეზო კვერენხილაძე	—	sh ესწეჲმღა
10. ელისო ჭიჭინაძე	—	sh ესწეჲმღა